№ 52 | 28 მაისს, პარასკევი | 1866—1876 | 28 მაისს, პარასკევი | № 52

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, ... ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### დღიური

ამ თვის დამდეგს რომ ჩვენში სიცივე და ქარიშხალი იყო, ძალიან ბევრი ზიანი მიუცია სოფლის მეურნეობისათვის; განსაკუთრებით ქართლის მხრით ვაზი და ბოსტნეული სულ გაუფუჭებია.

რუსულ გაზეთებში იწერებიან მოზდოკიდამ, რომ 8 და 9 მაისს ისეთი 1აზინელი ყინვები ყოფილა იქ, რომ ამ ქალაქში და იმის გარშემო რაც ვენახები არის, სულ დასძრათ ასე, რომ ორი მილიონის მეტი ზიანი მიეცა მეპატრონეებსაო.

***

ამბობენ, რომ ჩვენს ქალაქში მალე ქალაქის ფოჩტა გაიხსნებაო, ე. ი. ქალაქის ერთ უბნიდამ მეორე უბანში უბრალო წიგნის მიწოდება შეიძლება ფოჩტის საშუალებითაო.

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 22-ს იქაურ ქართული სცენის მოყვარეთა თ. გ. ერისთვის კომედია „დავა“ წარმოუდგენიათ ერთი ახალგაზდა ქალის სასარგებლოთ. ამ წარმოდგენიდამ, ხარჯს გარდა, 300 მანეთამდის დარჩენილა.

***

ერთი ახირებული ამბავი გვითხრეს: ხაზინიდამ ორმოცი ათასი მანეთი ყოფილა გადადებული სასულიერო პირველ-დაწყებით შკოლის შენობის ასაშენებლად. ამ საქმის თაობაზე რამდენიმე სასულიერო პირისაგან კომიტეტი იყო თურმე შემდგარი და ამ კომიტეტს უყიდნია 30 ათას მანეთად კუკიაში ერთი გაელენიან მღდლისაგან სახლი და ადგილი, რომელიც, როგორც ამბობენ, ამის ნახევარ ფასათაც არა ღირსო. ამბობენ, ნაყიდი სახლი ისე ძველიაო, რომ იქ შკოლის გამართვა ყოვლად შეუძლებელია და დანარჩენი ათი ათასი მანეთით კი ახალი შენობის აგება, რასაკვირველია, არ შეიძლება. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ეს 40 ათასი მანეთი, როგორც ამბობენ, სასულიერო წოდებას ნასესხები აქვს ხაზინიდამაო.

***

ჩვენ მივიღეთ იმერეთიდამ, უფ. სხვიტორელისაგან, შემდეგი წერილი, რომლის შინაარსზედ ჩვენებურ არხეოლოგიურ საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ:

„სოფელს საჩინოს არიან რამოდენიმე მოსახლე აზნაურნი, გვარად აბელედიანები; ამ აბლევედინებს და რამოდენიმე გლეხებს ეკუთვნის ერთი გორა, რომელიც იქნება სივრცით 15 ქცევამდი.

„ამ გორის ძირში დაესახლენ სამი კომლი აბელედიანები. როდესაც დაუწყეს თხრა სახლის ბალავერს, ნახეს, რომ ამ გორას ქონია ძველათ გალავანი გარეშემო შემოყოლებული სულ წმინდა თლილი ქვით და შემდეგში მიწას დაუფარავს.

„ერთს ადგილას იპოვეს სასაფლავო ქვითკირით ამოშენებული და შიდ ჯაჭვით დაბმული კაცის გვამი. ეს კაცი ნამდვილი ზღაპარ - მოთხრობითი გმირი ყოფილა.

„პირველ საფლავის გახსნაზე ნამდვილათ ჩნდა გმირის სიმაღლე და მოყვანილება. საშინელი საოცარი ჯაჭვი რგოლით კისერზე ეცვა და ორკანის პალოზე მიბმული იყო ფეხის წვივის ძვალით; კოჭიდამ მუხლის კვირისტავამდე თითქმის ერთი ალაბი სიგძე ჰქონდა; რამოდენიმე საათის შემდეგ როდესაც ჰაერმა დაჰკრა მტვერათ წავიდა, გაქრა, მხოლოდ დარჩა ჯაჭვი და ერთი კბილი. ის კბილი იშოვნა აბელედიანების მებატონემ თ. ნიკო ჩიჯავაძემ, რომელიც შარშან გადიცვალა და ის საკვირველი კბილი ვის დარჩა, არ ვიცით.

„ისრე წვიმა არ მოვა, რომ აბელედიანის კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი, ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნივთეულები. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, რადგანაც ის გორა ეკუთვნის ბევრს და საზიარო არის, ამისათვის რაც უნდა იპოვნონ, ერთი მეორეს უმალამს და ჩუმათ ყიდის ვაჭრებში.

„ერთმა მათგანმა ოქროს ლანგარი გაყიდა იეფათ ვაჭრებში ჩუმათ, ერთი კიდევ თეფში მრგვალი, ბადესავით მოქსოვილი ცხრილებიანი ოქროს ლანგარი გაეყიდათ და რასი მოსახმარისი იყო ვერავინ გაიგო; ერთმან თ. ი. ლ. იშოვნა მათგან ბეჭედი ოქროში ჩამჯდარი ლალი, რომელზედაც არის მოჭრილი ქალის სახე.

„როგორცა სჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში, ვინ იცის რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობით დაკარგული.“

## ფელეტონი

### ჩვენში ბოდიში რა საჭიროა?

ბატონი გამწყრომია? ჰმ... მწყრები შეიწვას! და მე მოგახსენებთ, შორს წასვლა მოუნდება სანადიროთ?!...

მე „წვეროსნობით“ მაგინებს, მაგრამ მეც „მწყეროსნობით“ შევამკობ..

რა დრო დაგვიდგა?! ყველა იბერება! ყველა ყალყზედ დგება!! სიტყვით ზარბაზნის არ ეშინიანთ, მაგრამ საქმით კი ნევსის ჩხვლეტასაც მალე დაჩუტავსთ გუდასავით; მაგრამ ბედი მათი, რომ ნევსის მჩხვლეტელიც არავინა ჰყავსთ?.. და არა ჰყავსთ მისგამო, რომ ხალხი დაეცა, სულით მხთალი შეიქნა და საქმით უსწორო!!

ვინ არა სტყუის? ვინ არ ცუღლუტობს? მაგრამ თავს მითი მართლულობენ, რომ „არ იქნება, სოფელია, დიპლომატობა საჭიროა, პირდაპირობა სიგიჟე იქნებაო და სხვანი.“ და ის კი არა თუ მხთალი ვარ და პირ-და-პირობის მეშინიანო!...

ამის მაგალითი ბევრი გვაქვს: მაგალითად, გზავნიან „დროებაში“ სტატიებს, რომლითაც ცუდს ამხილებენ;—კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ვაი ის არის, რომ თავის სახელისა და გვარის გამოცხადებას ვერ ჰბედვენ, იმ იმედით, რომ მე ვერ მიცნონ და ეგებ სხვას დააბრალონო!.. ეს დიპლომატობაა, თუ სულის სიგლახაკე? თუ კარგია მისი ნაწერი და ქვეყნის სასარგებლო, რათ ვისმესი ეშინიან, რომ ლობეს ეფარება, და თუ ცუდია და შესარცხვენი, რათ იჭირვებს საქმეს, რომ სწერს? აბა ამას ჰქვიან „მინდა, მაგრამ მეშინიანო“. არა, ის, ვისაც საზოგადოების მავნებელის პირ-და პირ მხილება არ შეუძლიან, გაჩუმდეს. ნულა გამოდის ასპარეზზედ! მიუჯდეს კერას!!... მიხვეულ-მოხვეულათ მოქმედება სირცხვილია.

ეს სპარსული პოლიტიკა არის, რომლისაც დრო წავიდა!.. საზოგადო საქმეში პირდაპირობა უნდა.—ვინ არ იცის, რომ ერთი ადგილიდამ მეორე ადგილამდი სწორი გზა უფრო მალე მიიყვანს, ვინემ მრუდე. მაგრამ ყველა კი მრუდე გზას ეტანება. და ეტანება მიტომ რომ ყველა ერთი მეორეს ეფარებიან და გამოჩენა არ უნდათ!

ისეთი უბედური რამ დროა, რომ გამარჯობას რომ კაცი გეუბნებოდეს, იცოდეთ რომ სტყუის გულში უთუოდ სხვა აქვს. მარცხენა კბილებით რომ რამესა ჰღეჭდეს ვინმე, დარწმუნდი რომ ტყვილათ ანძრევს მარცხნივ ყბებს, საღეჭი კი მარჯვენით ექნება. დიახ, იტყუებიან, მაგრამ აბა თუ არ ამითი რითი დაამტკიცონ გონიერებაზ? მაგალითებ:

ქალს ათხოვებენ, ის კი იძახის: „არ მინდა ქმარი! თავს მოვიკლავ და ამა-და-ამ კაცს კი არ შევირთაო!“ ჩუმათ კი მაჭანკლებს ეხვეწება: „აბა თქვენ იცით, თუ იმ საქმროს არ დამიკარგავთო!“ ბოლოს როდესაც შეირთავს იმ კაცს, უსირცხვილოდ მართლულობს თავს: „არ მინდოდა, მაგრამ ამა-და-ამ ქალის ჟინზედ შევირთეო.“ ახლა ჰკითხეთ იმ ქალს: „რათ ცუღლუტობდა, რათ ატყუებდა სხვებს?“ —პოლიტიკააო, იტყვიან.

რამე ადგილზედ ირჩევენ ერთს ვისმეს; მაგრამ ამოსარჩევი უარზედ სდგას ცხადათ, და ჩუმათ კი მომხრეებს მუხლებს უყრის: მიშველეთ, ამომარჩიეთო და როდესაც ამოირჩევენ, იტყვის: „არ მინდოდა, მაგრამ ამა-და ამ კაცის ჟინით დავდექიო!“ —აქაც დიპლომაციაა, რაღა?

ფულს სესხულობს ერთი მეორისაგან. მაგრამ ჯერ კი რამოდენიმე საათის განმავლობაში უგულოთ სულ სხვა რამეზედ მუსაიფობენ და მხოლოდ ბოლოს გაუტყდებიან ერთმანეთს; და რისთვის დაჰკარგეს დრო, რატომ პირ-და-პირ არ დაიწყეს ლაპარაკი? დიპლომაცია! ჭკუაა რაღა?

ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარსთ. მაგრამ გულის პასუხს კი არ ეუბნებიან ერთმანეთს, თუმცა ორივეს კი სურსთ; და რაღას ბოდიშობენ! ბოლოს ხომ მაინც გაუტყდებიან ერთმანეთს? აქაც დიპლომაციაა!!. ჭკუა რაღა?

მოქრთამეს ქრთამს აძლევენ. გულით უნდა აღება, მაგრამ თავ პატიკებს იდებს: როგორ მიბედავთო და სხვანი. ბოლოს კი იკადრებს; და ნეტავი რათ ჰკარგავს დროს? დიპლომაციის ბრალია!... სულ დიპლომაცია და დიპლომაცია! ამოვარდეს მისი მომგონი!...

ორნი ერთმანეთს ემტერებიან, აგინებენ, ზურგს უკან ორმოს უთხრიან ერთმანეთს. პირში კი ერთმანეთს აქებენ და ემეგობრებიან.... ესეც დიპლომაციაა.!

ეჰ, რამდენი ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ?! და ან კი ღირს ამ მაგალითების მოყვანა მაშინ, როდესაც უმრავლესობა ცუღლუტობს და მითი კეთილ-დღეობს?

მაგრამ ცუდი ნიშნები იხედება მათთვის: არ შერჩება არავის დღეის იქით ცუღლუტობა! მოსთხოვენ ანგარიშს. აღარ მოერიდებიან აღარც პოეტობას და აღარც ფილოსოფოსობას. აბა გამობრძანდენ ასპარეზზედ და მაშინ ჩაახედებენ სარკეში და დაანახვებენ მათ მოთხუპნულ ცხვირ-პირს.

აკაკი

რეობისაგან დალუპულია, და რამოდენი კიდევ იპოვება ამ გორაში.“

* * *

ოზურგეთიდამ გვწერენ:

„ეს ერთი წელიწადია, ამ ჩვენი პატარა ქალაქის მახლობლად ჩამოგვესახლა ერთი წინასწარმეტყველი ექიმი, რომელმაც მრავალ პირებს დაუდვა სიცოცხლის ვადა, ზოგს უთხრა—ორ თვეს იცოცხლებო, ზოგს სამ თვეს და ზოგს კი ერთი წლის ვადა დაუდო, ასე რომ ნახევარი მურიის ქალი და კაცი ოჯახობას გამოეთხოვენ: რად გვინდა ოჯახის მოვლა, მაინც ხომ ამ დღეებში მოვკვდებითო.

„ამაზედ შეწუხდა სულ სოფელი, მაგრამ მადლი ღმერთს, რომ რამოდენიმე პირმა გადააცილეს იმ ექიმის და წინასწარმეტყველის სიტყვებს და ორი თვე ვისაც ჰქონდა დანიშნული, ისინი აგერ თითო წელს ცხოვრებენ. ახლა, საუბედუროთ, თვითონ ეს ექიმი არის ავათ, ჰკლერქაუჩივის და რომ რამე დაუშართოს, არ ვიცით—რა გვეშველება!“

## „დროების“ კორრესპონდენცია

ზემო-ქართლი, მაისის 13-ს

წლევანდელ გაზაფხულმა ჩვენ სოფლელი ხალხი ძალიან შეგვაშინა. ასეთი გვალვა იყო, რომ მიწები ვერ შევიმუშავეთ; ზოგ მიწებს თესვა დაუგვიანდა; ზოგი ანიულად დარჩა; უმეტესი კი სულ მომცდარა. დავლონდით, რასაკვირველია.

როგორც იყო, ვითომც ბედი მოგვიბრუნდა და მაისის ექვსსა კარგა ჩამოიწვიმა და წვიმდა სამი დღე. იმედი მოგვეცა და ხალხი სამუშაოდ გაეიდა; ვინც მოასწრო, ვითამც ეშველა.

ამ თვის ცხრასა ამოვარდა საშინელი დიდი, ცივი ქვენა-ქარი და ჰბერავდა მრთელ ხუთ დღესა. ისრე აცივდა ჰაერი, რომ ბუხრებიც დავანთეთ, და ბევრსაც ნაბდები და თბილი ტანისამოსი სანატრელი გაუხდა; სიცივით გარეთ ვერ გავდიოდით, და მუშაობას რაც შეეხება—ვინდა ჰბედავდა მაგ ქარში მუშაობასა? ჩვენი სოფლების ახლო-მახლო სერებზე მაისის ათსა ჩამოთოვლა და წყაროებიც გაჰყინა!

ვის გაუგონია მაისში თოვლი და ყინვა? ჰსთქვეს, რომ სურამის მთაზედ, რკინის გზის სტანციაში—შონასა—$5^1/_2$ გრადუსი სიცივე ყოფილა რეომიურის ტერმომეტრით—დილას ათს მაისსა! საშინელებაა!—ამ სიცივემ მთლათ დაგვლუპა ჩვენ, ვენახების პატრონნი! მაისის პირველ დღეებში ჩვენ ვენახებს მშვენიერი და სასიამოვნო შეხედულობა ჰქონდა;—ვაზმა, სათითაოდ, იმდენი მტევანი გამოიბა, რომ ჩვენ, ცოტა არ იყოს, დავფიქრდით, თუ რთველის დროს, სად უნდა შეგვენახა მრავალი ღვინო. ახლა კი, სიმრავლეს ვინდა იფიქრებს; ნეტავი ვენახს მეათედი მოსავლისა მაინც ჰქონდეს! ვაზი, სულ-მთლად ფოთლიანა, მტევნიანა და მტრიანა—ვითამც ცეცხლით არის მოკიდებულიო, გადანაცრებული და დამწვარიო! რომ ნახოთ ჩვენი ვენახები, გეგონებათ, რომ ვითამც ყოველი ვაზი ნაცარში ამოგვეთუთხნოს ანუ დაგვემარხოს.

ეს კიდევ ჰო!—ის არის უფრო გასაკვირველი, რომ დათესილი ბოსტნეულობის თესლები, ამ ცივი-მაისის ქარიშხალისაგან, ვითამც საქონლით და ღორებით არის ამოჩიჩქნილი, ამოყრილი და გაქელილიო.

რაღა ვქნათ ეხლა? პურები—დამწვარია; სიმინდები—დამწვარია; ვენახები—დამწვარია; ნუგეშის მაგივრად დაგვრჩა ჩვენ ხეხილი, რომლისათვისაც ამ ჰავას ჯერედ არ უწყენია. ვინ იცის, იქნება ამ უბედურობასაც მოვესწროთ, ჯერედ ისევ ისე ცივა! ვართ ეხლა ჩვენ ყველანი ამისთანა მწუხარებაში და შევცქერით ამ სატირალ და საზარელ მდგომარეობას.

ა—ი

მოზდოკიდამ, მაისის 15-ს

## აქაურ ამინდზედ და აქაურ ქართველებზედ

თუმცა არ მიყვარს ჩვეულებათ მიღებული კორრესპონდენციების საგნები, მათი კრეფა, გამორჩევა და მათზედ მსჯელობის ფორმა და ხასიათი, მაგრამ არ შემიძლიან არ დავიწყო აწინდელი ჩემი საუბარი ერთი იმ საგნიდამ, ურომლოთაც ძრიელ იშვიათად იწყება ბაასი კორრესპონდენტებისა მკითხველთან, მიჯნურთან, ნაცნობისა ნაცნობთან, სტუმრისა სტუმართან, უფრო მაშინ, როდესაც მათ შემოაკლდებათ საფუძნელი ბაასისა და საგნებისა; არ შემიძლიან არ დავიწყო ბაასი ამინდიდამ, იმიტომ რომ ამ მხრით იმისთანა უკიდურესი, ანაზდეული და უჩვეულებრივი ცვლილება მოხდა ამ მხარეში ახლა, რომ თავზარი დასცა აქაურ მამულების და ვენახების პატრონებს.

როგორც რომ გაზაფხულის ნიავმა მოუბერა, გაზაფხულის მზის სხივებმა გაალხვეს და გაათბეს დედამიწის ზურგი, ასე საშინლათ გაყინული ზამთარში, მთელი ბუნება სისწრაფით წამოდგა და სიცოცხლის ფერი მიიღო: მცენარეები ფოთლებით და კოკრებით შეიმოსნენ, კოკრები გაიშალნენ და ყვავილებათ გადაიქცნენ, ყვავილები ჩვილი ნაყოფებათ, რომელსაც ძლიერ ეშინიანთ ანაზდეული რამ ცვლილებისა ამინდში, ბუნებაში, რადგანაც ეს ცვლილება პირველ დაწყობაშივე გაუწყვეტს სახსარს მომავალ სრულ ნაყოფებს.

სწორეთ ამნაირი ცვლილება მოხდა აქაურ ამინდში ამ გამავალ დღეებში. ამ დღეებში სწორეთ ზამთრული სიცივეები და თითქმის ყინვები დადგა; ჩვენიდამ ახლო, ჩრდილოეთისკენ და სამხრეთისკენ, თოვლი მოვიდა, და ამ სიცივეებმა დაადვეს მთელ ბუნებას სამწუხარო ბეჭედი. ფოთლები და ყვავილები მოიკრუნჩხნენ, მათ ყვითელი ფერი გადეცო; მაგრამ უფრო საშინლათ აზნია აქაურ ვაზს. ვაზი არის სამხრეთელი მცენარე, რომელიც თხოულობს სითბოს, და თუ სითბოს ხარისხმა დაიწია მასზედ ქვემოთ, რაც ვაზისთვის ბუნებას გადუჭრია, ის ვერ იხეირებს. აქაური ალაგები არის ვაზის სამზღვარი, რის იქითაც ჩრდილოეთისკენ ის აღარ იზრდება; და აი ამიტომ აქაური სიცივე ბევრჯელ და ძლიერ აფუჭებს ვაზს, ვიდრე თქვენსკენ. მართლათაც, მე რომ აქაური ვაზი ვნახე ამ სიცივეებს შემდეგ,—თითქო ცეცხლზედ გაუტუსიათო. აქაური მამულის პატრონები ნუგეშით ამბობენ, რომ სიცივემ ძველ ვაზს ვერაფერი დააკლო, თუმცა ქორფა-ს ძლიერ უკბინაო. მაგრამ, როგორცა სჩანს, ზოგს სულ ხელი აღებინა. როგორც აქაურებმა ნამდვილი ცნობები მიიღეს, მთელი ვენახები თერგის იქით-აქეთ ნაპირებზედ ჰალენოვსკიდამ დაწყებით კასპის ზღვამდინ ყიზლიარითურთ, საცა უფრო მრავალი და უფრო უკეთესი ვენახებია, სულ ხელ ერთიანათ დამძრობილია, ასე რომ მომავალ წელშიაც ექვია გამოდგნენო.

ამინდიდამ აქაურ ქართველებზედ ვადასვლა, მგონია, არ იყოს დიდი გადასკუპება, თუ ამინდის აზრს მიიღებთ იმ სიგანით, რაცა მე სახეში მაქვს. საზოგადოთ რომ ვსთქვათ, არ არის დიდი მანძილი ამინდს და კაცს შუა; უკანასკნელი პირველთან გადაბმული და დაკავშირებულია, მის გავლენის და ზედ-მოქმედების ქვეშ სუფევს, ცოცხლობს და მოძრაობს. ზოგიერთ კერძო შემთხვევებში ეს მანძილი უფრო მოკლდება, ეს გავლენა და ზედ-მოქმედება უფრო ძლიერდება, როგოც, მაგ., აქ.

მართლაც, თუ თქვენ ამინდს ამ აზრით აიღებთ, ცხადათ დაინახავთ, თუ რა ვიწრო კავშირია ამინდს და კაცს შუა და რანაირათ ერთმანეთს სწონავენ და აქანებენ ესენი. კაცის თმაზედ, პირის კანზედ, თვალებზედ, ხელებზედ, ფეხებზედ, მთელს აგებულებაზედ არის ამინდის ბეჭედი. მისი გავლენა შედის გარედამ შიგნით,—კაცის კუჭი, ფილტვი, გულღვიძლი, ძარღვები და ნერვები—ყველა ეს შენდება, ცხოვრობს, იცვლება ამინდის გავლენის და ზედ-მოქმედების ქვეშ. აქედამ ამისი ზედ-მოქმედება გადადის კაცის გონებითს, ზნეობითს, ეკონომიურ და სოციალურ აგებულებაზედ და ცხოვრებაზედ და აძლევს ყველა ამ მხარეებს სხვა და სხვა ფერს, ხასიათს, სიმკვიდრეს და დღეგრძელობას. იმ ამინდს, რის ქვეშაც დროთა ვითარებამ კაცს მიჰკერძა ხანგრძლივი ცხოვრება, საცა აშენდა მისი ხორციელი და სულიერი ბუნება, საცა გაიარა მისმა წარსულმა და შაიკუმშა მისი საზოგადოებრივი ცხოვრება,—იმ ამინდს და კაცს შუა არის მუდამი ბრძოლა და ამასთანავე მუდამი შარიგებაც.

იმ ამინდშიაც, რაც კაცს არტყია, მოხდება ხოლმე ანაზდეული, უჩვეულებრივი ცვლილება და ესეც ბევრს აზრევს ხოლმე [illegible]გადობრივ ცხოვრებას უფრო მეტად, როდესაც ეს ცხოვრება არის ჩვილი, ქორფა, გაუმლელი და გაუმაგრებელი.

მაგრამ ბუნებას კაცი თვის სულ სხვა იარაღი მიუცია იმის დასახველრათ, და ვაი იმას, ვინც ვერ მოიხმარა ეს იარაღი, ვინც დახვდა ამინდის ცვლილებას ისე, როგორც ქორფა ნაყოფი მცენარეთა; ვაი იმ ხალხს, რომელიც გულ-ხელ-დაკრეფილი, დამშვიდებული და უზრუნველი უყურებს ყინვას, თოვლს, უდაბნოს, ჭაობს, ქარიშხალს, სეტყვას, უდროოთ და უკანონოთ მოსულს, რომელიც თავის დროზედ არ მიიგულებს თავის ნაშრომს მინდვრიდამ, თავის დროზედ არ მომკის ყანას, არ მოსთიბს ბალახს, არ აავებს ძნას, არ მოიტანს შეშას; რომელმაც არ იცის, სად და როდის დასთესოს სიმინდი, პური, ქერი, ფეტვი; სად დარგას ვაზი, სად ტკალი, რით გასჭრას ჯაგი, რით დაამტვრიოს კლდე!.. ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის ამინდის კეთილი და ბოროტი თვისებანი, არ იცის, რომ მას შეუძლია გამლაც და მოკრუნჩხვაც...

მაგრამ, როგორც ზემოთ მოხსენებულია, უფრო მძიმეთ დააწყევება ხალხის ცხოვრებას ამინდის ზედ-მოქმედება და მისი უცოდინარობა, როდესაც იმას აშენებულს ერთის ამინდის გავლენის ქვეშ, მოუხდება, სხვა და სხვა ბოროტ გარემოთა მსვლელობისაგან, სხვა ნიადაგზედ და სხვა ალაგზედ გადასვლა, როდესაც ის გასწყვეტს კავშირის ძაფს იმ ბუნებასთან, რამაც იმას მისცა სიცოცხლე.

ჯერ ერთი ეს, რომ მისი ბუნება ვერ აიტანს უცნაურ და ბოროტ ამინდს, ის აირევ-დაირევა, მის წყობილებაში მოხდება ის ცვლილება, რასაც სწავლულები რეაქციას ეძახიან. ამ არევ-დარევას გააძლიერებს მისი უცოდნელობა, თუ როგორ მოიქცეს აქ, რა დასთესოს, როგორ იაროს, როგორ იცხოვროს. იმისი უწინდელი ცხოვრება და ის ახალი პირობანი, რომლების ქვეშაც იმან თავი შეჰყო, ერთმანეთში აირევიან და დაიხლართებიან, არევენ მას, მის ტვინს.

აქ ხშირათ ის მოვლინება ხდება, რომ ხალხს, რომელსაც ეს ცვლილება მოუხდა, ივიწყებს და აგდებს იმას, რაც მისი პიროვანი და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და რის მოცლაც სრულებითაც არ ითხოვება იმის მომავალი კეთილდღეობისაგან და ითვისებს იმას, რაც მის გამრყვნელი, სავნებელი და ქვეყნის პირიდამ ამომფხვრელია და მომავალი კეთილ-დღეობის და ბედნიერების დამაპირქავებელია.

დიაღ, ძვირად უჯდება ახლანდელ კაცს ამინდის თვისების, თავის გარემოების გაუგებლობა, ძვირად უჯდება მას თავისი წარსულის, უფრო აწმყოსი და უფრო მომეტებულათ მომავალის გაუგებლობა.

ნუ გეშინიან, მკითხველო, მე ამ

საგანზედ სჯას არ გავავრცელებ, თუმცა მსურდეს კიდეცა, და ნურც იფიქრებ, ვითომ მე საგანს დავსცდი და სხვა გზაზედ გადავუხვივე. ქვემოთ ნათქვამიდამ და ბევრი სხვიდამ, რასაც არ ვიტყვით, რაც შენ გარშემო გარტყია და კიდეც უნდა იცოდე, ცხადად დაინახვება, რომ ჩვენ ძლიერ მალლა არ ვცურავთ, რომ ჩვენ გვიბჯენია ორივე ფეხი შავ მიწაზედ.

ქართველები აქეთ გადმოსახლებულან წარსულ საუკუნის დასასრულში, იმ დროს, როდესაც საქართველოში საშინელი არევ-დარეულობა იყო, როცა მას უკანასკნელად ჰქონდა დაჭიმული ძაფები თავის სიცოცხლისა, რომლების გაწყვეტის დღე და საათი ახლოვდებოდა. თქვენ აქაურ ქართველებში ვერაფერ მასალას, ვერაფერ ხელთ-ნაწერებს ვერ იპოვნით ქართულ ენაზედ, თუნდა კარ და კარ დაიაროთ, გარდა საეკლესიო წიგნებისა, რომლებიც არიან საყდარში, როგორც უკვდავი სახსოვარი, რომ ამათ პირველად და თითქმის მოკლე დრომდინ თავის სამშობლო ენაზედ ულოციათ ღმერთი და უსმენიათ ღვთის სამსახური; და ამ თავის წარსული ცხოვრების მოწმობის და კვალის შენახვაში აქაური უსულო და უგულო ლოდებს, საფლავის ქვებს, უჯობებია აქაურ გულიან და სულიან ქმნილებაებისთვის, მოზდოკელ ქართველებისთვის, რადგანაც მათზედ არის დაწერილი ქართულ ენაზედ, ქართული ლექსებით...

ეს ქვები უჩვენებენ ჯერ დროს, როდესაც აქ ქართველები გადმოსახლებულან, მერმე იმას, რომ ადრე ქართველებს თავის სამშობლო ენის სიყვარული და ხმარება ჰქონიათ; არამც თუ ქართველებს, — თითონ სომხებსაც ქართული ენა უხმარიათ, და ეხლაც არიან ამ უკანასკნელებში სახლობანი, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ და „დროებასაც“ ინტერესით კითხულობენ, როგორც სხვა ქართულ წიგნებს, როდესაც აქაურ ქართველობაში ერთ სახლს და ერთ კაცსაც ვერ იპოვნით, რომ ქართულს კითხულობდეს. როგორც რომ საფლავის ქვა ჩვენ დროს ჰოახლოვდება, ის სხვა ნაირ სახსოვარს აგდებს...

აქაური ქართველების (უფრო მოხუცებულების) დანახსოვში და ზეპირი ამბავები, მათი წოდებითი ჩამომავლობა, მათი მამა-პაპის ხელობა და საქმეობა, ადგილები, საიდამაც ესენი აქ გადმოსულან — ყველა ესენი ცხადად უჩვენებენ იმ მიზეზებს, რომლების გამო ქართველები აქ გადმოსახლებულან. ეს მიზეზები სხვა და სხვა არის და ამეებში უმთავრესნი არიან ისინი, რომელთაცა აქვთ ადგილი თითქმის ყველგან და ყოველთვის ამ გვარ მოვლინებაში: თავის სამშობლოს შინაგანი და გარეგანი უწესოება, არეულ-დარეულობა და საზოგადოთ უბედური მდგომარეობა და „ბატონების“ მტარვალი ქცევა, პყრობა და მოქმედება თავის „ყმებთან“; და არა ერთი ტოტლებენის იმერეთში და ახალციხეში გალაშქრება, ან სხვა რამ მეორე ქსიკონების და მეისტორიების მოგონილი მეკობრეების დავლაზედ გასეირ-გამოსეირობა.

ამას რომ თქვენ დაუმატოთ ის გარედამ მიმზიდველი მოპატიჟება, რომელიც როგორც გაუგონიათ მოხუცებულებს, ვითომ ეკატერინე მეორეს გამოუგზავნია კავკაზიელებისთვის, რათა იმათ დაიჭირონ ესალაგები, და ამასთან აღუთქვამს სრული თავისუფლება ხარჯისა-ბარჯისა და სამ ახურისაგან და საჩუქარიც ბევრი გაუგზავნია, — მაშინ ცხადათ დაინახავთ, რომ მსურველი ამ აღთქმის ქვეყანაში გადმოსასახლებლად ბევრი გამოჩნდებოდა. იმპერატრიცას სახეში ექნებოდა თავის სამხრეთი მიჯნების დაცვა მოუსვენარი და მეომარი ჩერქეზებისაგან ისევ ომში გათქმულის კავკაზიელების ზურგით.

აქაურ ქართველებში არიან მომეტებული ნაწილი გლეხების ჩამომავლობა, ერთი-ორი თავად-აზნაურის გარდა, რომლებსაც, რასაკვირველია, არაფერი ყმა და მამული არა აქვს. ამ მაღალი წოდების მქონებელთ აქ გადმოსახლების მიზეზი, როგორც ახსოვთ, გვარში უთანხმობა და განხეთქილება ყოფილა. მომეტებული ნაწილი გადმოსახლებულებში არის ყმები, რომლებიც ბატონის მათრახს გადმოხვეწნიან — ცხრა მთას აქეთ, საიდამაც ის ამათ ვერ დააბრუნებდა. გადმოსახლებულებულნი არიან სხვა და სხვა ალაგიდამ და სხვა და სხვა დროს, და არა სულ ერთად. აქ არიან იმერლები, ქართლელები და კახელებიც, თუმცა უფრო მცირე. საცხოვრებელი ამოურჩევიათ სხვა და სხვა ალაგს, მაგრამ რადგანაც აქ მომეტებული ნაწილი დასახლებულან, ბოლოს სხვებიც ამათვე მოჰკედლებიან.

გარდა მოზდოკისა, ცოტაოდენი ქართველები ცხოვრობენ აქედამ 50 ვერსზედ, ერთ (დაბაში) სოფელში, რომელსაც ჭას ეტყვიან, ნოღებთან ერთად. ესენი მოზდოკიდამ გასულან სოფლად. ამ სოფლათ მცხოვრებლებს უფრო წაუხდენია თავისი ენა, რადგანაც მაში შესულა ბევრი ნოღური სიტყვები და მთელი წინადადებაებიც, და მომეტებულად ლაპარაკობენ ნოღურად. მე ვნახე იქიდამ მოსული ქართველის ბიჭები, რომლებმაც სრულებით არ იცოდნენ ქართული, სხვები არეულად ლაპარაკობდნენ, თუმცა ღედამამამ კიდე რიგიანად იცის ქართული ენა. გარდა ამ ორი ადგილისა, სხვაგან ჯგუფათ ქართველები ამ მხარეზედ არსად არ ცხოვრებენ, როგორც მე შევიტყე.

რაც ეკუთვნის ქართველების სარწმუნოებას, ამ შემთხვევაში სულ ტყუილი მწუხარება იყო გამოთქმული ამას წინათ ამ გაზეთში ერთი კორრესპონდენტისაგან, ვითომ აქაური ქართველები იეზუიტებს გაუკათოლიკებიათ და ეს კათოლიკები არამც თუ ქალაქათ, სოფლადაც არიან.

— მაგრამ ყოველგვარი მწუხარება უფრო გაიფანტება, როდესაც შეიტყობს მკითხველი, რომ აქ ქართველი კათოლიკი არის ორი-სამი სახლობა, და ესენიც მგონია კათოლიკები გამხდარან აქ გადმოსახლების წინ; ქალაქის გარეთ, სოფლებში — ხომ კათოლიკობის ამღვიარებელს თქვენ სრულებითაც ვერ იპოვით.

(შემდეგი იქნება.)

# უცხო ქვეყნები

**ოსმალეთი.** სულ თან-და-თან ცხარე ამბები მოდის ოსმალეთიდამ. „თფილისის მოამბეს“ შემდეგი დეპეშები მოუვიდა გუშინწინ სტამბოლიდამ: „ახალ სულთანმა მურადმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ახლანდელი სამინისტრო ჯერხანობით შეუცვლელად დარჩება. ხონთქარი უარს ჰყოფს თავის კერძო მამულების შემოსავალს და სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოთ უთმობს აგრეთვე თითქმის ორ მილიონს თავის ჯამაგირიდამ (შვიდ მილიონ ნახევარი ეძლეოდა). ამის ფირმანში გამოცხადებულია, რომ სასამართლო ნაწილი და ხალხის განათლება შემდეგში უფრო რიგიანს გზაზედ დადგებაო; კონსტიტუცია უნდა გამოიცეს, რომელიც ოსმალეთის ყველა ხალხებს (ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს) ყველას ერთნაირ უფლებას მიანიჭებსო და სხ.

„ხმა არის, რომ რუსეთი ახლანდელს სულთანს კანონიერ სულთნად არ სცნობსო.

„ლონდონიდამ მიღებული დეპეშა: გაზეთს „ტაიმსში“ სწერია, რომ ინგლისის სამხედრო ხომალდებს ბრძანება მოუვიდათ, რომ დალმაციისა და ალბანიის ნაპირებთან წავიდნენ და ყური უგდონ იქ, რომ აჯანყებულებს სამხედრო იარაღი და სურსათი არ მიაწოდონ; ხოლო ოსმალოს ჯარებს კი მიუტანონ ზარბაზნები და სხვა საომარი იარაღი.

„სტამბოლიდამ გამოგზავნილი დეპეშა 23 მაისს: დღეს გადაყენებულ ხონთქარმა აბდულ-აზისმა მარღვებიდამ სისხლი გამოიშვა და ამნაირად თავი მოიკლა სერალში.

სტამბოლში და ევროპაში ხმა გავარდა, რომ გადაყენებული სულთანი მოჰკლესო.

უცხო ქვეყნის გაზეთებში დაწვრილებით აწერილია სტამბოლის რევოლიუცია.

პირველად 27 აპრილს (8 მაისს დაწყებულა არეულობა. სტამბოლის ულემებს (სამღვდელო პირებს) მოუწვევიათ სოფლებიდამ თავის მომხრე მღვდლები და საიდუმლო კრებებში გადაუწყვეტიათ თავის მოქმედების პლანები. ამ კრებებში მომეტებული ნაწილი იყვნენ სოფტები — სტუდენტები და ხოჯები.

ჯერ გარდაუწყვეტიათ, რომ სასულიერო წოდების უმთავრესი უფროსი — შეიხ-ულ ისლამი [illegible] ზ რი მაჰმუდ-ფაში [illegible] ლევინოთ ხონთქარსაო. მეორე დღეს ყველა განდგომილებს პირი მიუციათ ერთმანეთისათვის, რომ სანამ ჩვენს თხოვნას არ შეასრულებს ხონთქარი, მანამ მეჩითებში იმისთვის ნუ ვილოცავთო; და ოთხასი დაიარაღებული კაცი წასულა ხონთქართან შემოხვეწნებული მოთხოვნილებ ს გამოსაცხადებელად. სასახლესთან დახვედრიათ, გაუჩერებიათ კარეტა და წარუდგენიათ თხოვნა. ხონთქარმა იმ დღესვე შეასრულა ეს თხოვნა.

ამ თხოვნისაგან გათამამებულმა სოფტებმა გული მოიცეს და შემდეგ 11 მაისს 5,000 კაცამდი მოგროვდნენ ქუჩებში და კაცი მიუგზავნეს ხონთქარს, რომ დიდ ვეზირად, მეჰმედ-რუშდი-ფაშა დაენიშნათ და სამხედრო მინისტრად უსეინ-აენი-ფაშა.

სულთანი ისეთ ნაირად შეშინდა და წახდა თურმე, რომ ტვინი დაებნა და არ იცოდა, რა უნდა ექნა. ბოლოს ყველა თხოვნაზე დათანხმდა.

თვითონ სერალში ამ დროს დიდი არეულობა იყო. იმის ძმის-წული — მურად ეფენდი სადღაც წავიდა სასახლიდამ და ამბობდნენ, რომ ვინც უკმაყოფილოები არიან სტამბოლში იმათ მოთავედ დადგა და ხონთქრის ტახტიდამ ჩამოგდება უნდაო. ალელვებულ ხალხში ბევრი სხვა და სხვა ხმები დადიოდა.

ბოლოს ტახტის მემკვიდრე — მურად-ეფენდი გამოჩნდა; ის მივიდა თურმე თავის მომხრეებით სასახლეში, დაუწყო ყვედრება ხონთქარს: შენ დაამცირე ოსმალეთიო, რაც უბედურება და გაჭირება ჩვენს ხალხს ადგია ამ ჟამად, სულ შენი ბრალი არისო, მეფობა მე უნდა დამითმოო. ამბობენ, ამ სიტყვებმა ისე გააჯავრა და მოთმინებიდამ გამოიყვანა ხონთქარი, რომ საცემად მიიწია მურადთანო, მაგრამ იქ დამსწრე კარის კაცებმა გააჩერეს და დაამშვიდესო. ხონთქარმა მურადი დაიჭირა და სასახლეში დაამწყვდია.

ამ ამბავმა კიდევ უფრო გააჯავრა თურმე აჯანყებულები; არეულობა უფრო გაძლიერდა და მოხდა ის, რაც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის დეპეშებიდამ შეიტყვეთ.

25 მაისს აქ ახალი დეპეშები მოვიდა სტამბოლიდამ, რომელნიც გვაცნობენ, რომ ოსმალეთის ახალს მმართებლობას განზრახვა აქვსო, გერცოგოვინელ და ბოსნიელ აჯანყებულებთან ექვსი კვირის ვადით ზავი უნდა შეჰკრასო.

ამას გარდა იქიდამვე იწერებიან, რომ აბდულ-აზისის სიკვდილის (მოკვლის) შემდეგ, იმის კერძო ხაზინაში სამასი მილიონი ფული ნახესო, რომლიდამაც ერთი წილი ჯარსა და ჩინოვნიკებს უნდა მიეცეს ჯამაგირად, მეორე სახელმწიფო ვალის გადასახდელად უნდა მოიხმარონ და მესამე წილი კი, ვინიცობაა ომი ატყდეს, იმისთვის შეუნახ ეთო.

# განცხადებანი

## ტფილისის სააზნაურო ბანკის გამგეობისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ამ წლის 27 მაისიდამ, შემდეგ გამოცხადებამდი, ბანკი ღია იქნება ყოველ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 8 საათიდამ ვიდრე შუადღემდე, და სესხის მიცემა იქნება მხოლოთ ერთხელ კვირაში, ხუთშაბათობით. (3—1)

---

## გაიხსნა ახალი სარძეო სარდაფი
# „კახეთი“

სადაც შეიძლება შემდეგ ნაწარმოებთ მიღება: კარაქისა, ნაღებისა, უმის რძის, გარდადუღებული რძისა, ყველისა, მაწვნისა, ხაჭოსა და სმეტანისა. ფასის შეტყობა შეიძლება სარძეო სარდაფში, რომელიც იმყოფება სასახლის მოედანზე, მაზუროვის სახლში, მუზეუმის პირდაპირ.

ზაფხულში სარძეო სარდაფის განყოფილება იქნება კოჯორში.

(6—5)

---

უფ. ზაქ. ჭრიქეროვის, ვართანოვის და ქალაქის სხვა წიგნის მაღაზიებში **ისყიდება** ახლად გამოსული წიგნი:

## BIBLIOGRAPHIA CAUCASICA et TRANSCAUCASICA

სისტემატიური კატალოგი ნაბეჭდ თხზულებებისა კავკასიის აქეთა და იქითა მხარეზე და აგრეთვე კავკასიის ხალხებზე.

გამოცემულია მ. მანსარაევისაგან, პეტერბურღს.

ფასი წიგნის მიაღაზიებისთვის—8 მან., ცალკე პირებისათვის, რომელნიც თითო წიგნს ჰყიდულობენ—10 მან. (3—2)

---

უფ. ზაქ. ჭრიქეროვის და ამხ. **კავკასიის წიგნის სავაჭრო მაღაზიაში**, რომელიც იმყოფება კუკიის ხიდზე, ალ. ზუბალოვის სახლებში, ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) ქართული ანბანი—იაკობ გოგებაშვილისა, ფასი 5 კოპ.

2) ბუნების კარი—იმისივე, ფასი 65 კოპ.

3) ქართული ანბანი—მდივანოვისა, ფასი 10 კოპ.

4) თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართველი ყმაწვილებისათვის 10 კოპ.

5) ქართული ანბანი—ისარლოვისა, ფასი 10 კოპ.

აქვე ისყიდება, იაფ ფასად, ყველა სახელმძღვანელოები სახალხო, სასულიერო და სხვა შკოლებისათვის. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებს მოთხოვნისათანავე პირველის ფოჩტითვე გაეგზავნება წიგნები, ნისიათ წიგნებს მაღაზია არავის არ უგზავნის. (3—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

## თამარ საქართველოს ბატონიშვილის

ისტორიული რომანი

გ. რჩეულოვისა.

**ტფილისში:** მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

---

## LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **პუდრი** (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზრდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი.

## pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—34

---

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლაზარეთით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლაზარეთში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე, დილით 8 საათიდამ $9^{1}/_{2}$-მდი დოქტორი ბოტკევიჩი და $9^{1}/_{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

---

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის მუტმანი, ქიმიკოსი პეტერსბურგში,

**იმპერატორის** **სასახლის მეიჯარადრე**

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სახელმწიფოებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ქინისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამომგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიიღო და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

## ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.



### პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარამოკი ნამის ქინისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



**უმთავრესი დეპოს** ტფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სვგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—18

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. . | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 21 მაისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 203 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 201 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 27 მაისს | | |
| პური შოთრაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 18 |